ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2026 წლის 2 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს №16 დადგენილების (ვებგვერდი, 25/08/2023 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016519) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) 8-დან 12 წლამდე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიას შორის:

ა.ა) 8 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი – 350 ლარი; II ადგილი – 250 ლარი; III ადგილი – 150 ლარი;

ა.ბ) 10 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი – 350 ლარი; II ადგილი – 250 ლარი; III ადგილი – 150 ლარი;

ა.გ) 12 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი – 350 ლარი; II ადგილი – 250 ლარი; III ადგილი – 150 ლარი;

ბ) ღია ტურნირის სხვადასხვა კატეგორიას შორის:

ბ.ა) ღია კატეგორიას შორის: I ადგილი – 950 ლარი; II ადგილი -800 ლარი; III ადგილი – 700 ლარი; IV ადგილი – 600 ლარი; V ადგილი – 500 ლარი, VI ადგილი – 400 ლარი; VII ადგილი – 350 ლარი, VIII ადგილი – 300 ლარი; IX ადგილი – 250 ლარი, X ადგილი – 200 ლარი;

ბ.ბ) ქალთა შორის: I ადგილი – 500 ლარი; II ადგილი – 400 ლარი; III ადგილი – 350 ლარი.

ბ.გ) 16 წლამდე ღია: I ადგილი – 410 ლარი;

ბ.დ) 16 წლამდე გოგოებს შორის: I ადგილი – 400 ლარი;

ბ.ე) 14 წლამდე ღია: I ადგილი – 390 ლარი;

ბ.ვ) 14 წლამდე გოგოებს შორის: I ადგილი – 380 ლარი;

ბ.ზ) სენიორები(01.01.1965 წლამდე დაბ.): I ადგილი – 350 ლარი; II ადგილი – 300 ლარი, III ადგილი – 100 ლარი;

ბ.თ) ურეიტინგო მოთამაშეები: I ადგილი – 300 ლარი; II ადგილი – 200 ლარი, III ადგილი – 100 ლარი;

გ) მწვრთნელთა შორის: I ადგილი – 500 ლარი, II ადგილი – 400 ლარი, III ადგილი – 350 ლარი, IV ადგილი – 300, V ადგილი – 250 ლარი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**